პროექტი

# საქართველოს კანონი

## „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, N45, 21.11.1997, გვ. 86) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

**1. მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. საქართველოს სამხედრო ძალები შედგება საქართველოს შეიარაღებული ძალებისაგან, ხოლო საომარი მდგომარეობის დროს – აგრეთვე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანოებისგან, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო საზღვრის დაცვას.“

**2. მე-9 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„8. საომარი მდგომარეობის გამოცხადების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანები, რომელიც ახორციელებენ სახელმწიფო საზღვრის დაცვას გადადიან საქართველოს სამხედრო ძალების შემადგენლობაში.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2009 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი